



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №28/5911-13

04 მარტი, 2014 წელი

სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე, მომხსენებელი - ქეთევან მესხიშვილი
მოსამართლეები - ნატალია ნაზლაიძე, გერონტი კახეთელიძე

სხდომის მდივანი – დარეჯან ბიძინაშვილი

აპელანტი – გ. ტ.

წარმომადგენელი – ე. პ.

მოწინააღმდეგე მხარეები – რ. წ., ლ. გ.

წარმომადგენელი – ნ. მ.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილება

დავის საგანი – სააღსრულებო ფურცლის ნაწილობრივ ბათილად ცნობა

1. აპელანტის მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება

გ. ტ.-ს სასარჩელო მოთხოვნა: 2010 წლის 22 სექტემბერს გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო 0,3%-ის შემცირება. 2011 წლის 18 მარტს ნოტარიუს ლ. გ.-ს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის №XXXXXXXXX ნაწილობრივ ბათილად ცნობა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

გ. ტ.-ს სარჩელი რ. წ.-სა და ლ. გ.-ს მიმართ - პირგასამტეხლოს შემცირებისა და ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე -



დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ცვლილება შევიდა 2010 წლის 22 სექტემბერს გაფორმებულ №XXXXXXXXXX სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში (ასევე 2011 წლის 18 მარტს გაცემულ №XXXXXXXXXX სააღსრულებო ფურცელში) და სასამართლოს მიერ შემცირდა აღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო 0,3% და პირგასამტეხლო განისაზღვრა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,2%-ის ოდენობით. მოსარჩელის მოთხოვნა 2011 წლის 18 მარტს ნოტარიუს ლ. გ.-ს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის №XXXXXXXXXX ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით

უდავო ფაქტობრივი გარემოებები

2.1. მოსარჩელე მ. მ.-ი მიერ ვალდებულება არ შესრულებულა, არც სრულად და არც ნაწილობრივ.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება

დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

2.2. 2010 წლის 22 სექტემბერს გ. ტ.-სა და რ. წ.-ს, როგორც იპოთეკარს, შორის სანოტარო წესით გაფორმებული იქნა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება №XXXXXXXXXX, რომლის საფუძველზეც რ. წ.-მ გ. ტ.-ს ასესხა 3000 აშშ დოლარი, რაც ეროვნულ ვალუტაში შეადგენდა 5534,10 ლარს. აღნიშნული სესხი გაცემული იქნა 03 თვის ვადით და უნდა დაბრუნებულიყო 2010 წლის 22 დეკემბრისთვის. ამავე ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ სესხი სარგებლიანი იყო და სარგებელი შეადგენდა თვეში 8%-ს, კერძოდ, ყოველი თვის 22 რიცხვში მოხდებოდა სარგებლის - 240 აშშ დოლარის ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდა. ამავე ხელშეკრულებით განისაზღვრა პირგასამტეხლო, კერძოდ, ვადის გადაცილების შემთხვევაში მსესხებელს დაეკისრებოდა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,32%. სესხი უზრუნველყოფილი იქნა იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონებით, მდებარე, გორის რაიონის სოფელი კ., საკადასტრო კოდით № XX.XX.XX.XXX.

2.3. აღნიშნული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების მე-9 მუხლის მიხედვით, იპოთეკარს უფლება ეძლეოდა სასამართლოსათვის მიმართვისა და სასამართლოს საქმის წარმოების გარეშე მიემართა ნოტარიუსისთვის სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით და მოვალის მიმართ თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების აღსრულების პროცესი დაეწყო ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. ამასთანავე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელი გაიცემოდა მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის გამოთხოვის გარეშე.

2.4. 2011 წლის 18 მარტს ნოტარიუს ლ. გ.-ს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის მიხედვით, მითითებული დროისათვის სესხის თანხა შეადგენდა შემდეგს: ძირი თანხა - 3000 აშშ დოლარი, სარგებელი - 720 აშშ დოლარი, პირგასამტეხლო - 926 აშშ დოლარი, სულ 4646 აშშ დოლარი.

2.5. აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2011 წლის 30 სექტემბრის №XXXXXXXX-XXX/XXX წერილით



დასტურდება, რომ რ. წ.-ს 2011 წლის 05 აგვისტოს განცხადების საფუძველზე მას შეუსრულებელი სახით უკან დაუბრუნდა ნოტარიუს ლ. გ.-ს მიერ 2011 წლის 18 მარტს გაცემული სააღსრულებო ფურცელი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად.

2.6. რ. წ.-ს მიერ 2013 წლის 24 იანვარს კვლავ იქნა აღსრულების ბიუროში შეტანილი ნოტარიუს ლ. გ.-ს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი შემდგომი აღსრულების მიზნით, რაც დასტურდება განცხადების მიღების ბარათითა და განცხადებით, იძულებითი აღსრულების მიზნით სააღსრულებო დოკუმენტის წარმოებაში მიღების შესახებ.

2.7. რ. წ.-ს 2011 წლის 17 მარტის განცხადების მიხედვით, იგი ნოტარიუს ლ. გ.-ს სთხოვს გაიცეს სააღსრულებო ფურცელი 2010 წლის 22 სექტემბერს მასსა და გ. ტ.-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც 2011 წლის 17 მარტის მდგომარეობით ხელშეკრულებიდან გამომდინარე სესხის თანხა შეადგენდა 3000 აშშ დოლარს, სარგებელი 720 აშშ დოლარი და პირგასამტეხლო 926 აშშ დოლარს, სულ 4646 აშშ დოლარს. ასევე რ. წ.-მ მოითხოვა პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელებულიყო აღსრულებამდე.

2.8. მხარეთა შორის ხელშეკრულების საფუძველზე წერილობითი ფორმით განისაზღვრა პირგასამტეხლო და მისი ოდენობა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით კი, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

მხარეთა შორის 2010 წლის 22 სექტემბერს სანოტარო წესით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ, ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „ვადის გადაცილების შემთხვევაში მსესხებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,32%. გამსესხებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ვალის დაუყოვნებლივ დაბრუნება“.

აღნიშნული პუნქტის საფუძველზე, მხარეები შეთანხმდნენ როგორც პირგასამტეხლოს ოდენობაზე, ასევე მისი ათვლასთან დაკავშირებით. ამდენად, მართალია მხარეთა შორის პირდაპირ განისაზღვრა პირგასამტეხლოს ათვლის წერტილი, მაგრამ არ იქნა განსაზღვრული, თუ როდემდე დაირიცხებოდა პირგასამტეხლო (მაგალითად, სარჩელის შემოტანამდე, აღსრულებამდე, სააღსრულებო ფურცლის გაცემამდე თუ სხვა). სასამართლომ მიიჩნია, რომ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში არსებული დათქმა მხარეებისთვის ნათელი იყო, არ შეიცავდა



რაიმე სახის ბუნდოვანებას და იგულისხმებოდა, რომ ვალდებულების სრულად შესრულებამდეც კი იყო შესაძლებელი პირგასამტეხლოს დარიცხვის გაგრძელება, რაზეც ორივე მხარემ განაცხადა თანხმობა თავისი ხელმოწერით.

ამდენად, ის სადავო გარემოება, რომ ხელშეკრულებაში არ იყო მითითება პირგასამტეხლოს ვადაზე თუ როდემდე გაგრძელდებოდა პირგასამტეხლოს დარიცხვა და შესაბამისად, ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში უკვე ასეთი ვადის მითითება ეწინააღმდეგებოდა მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებას - სასამართლომ მიიჩნია საფუძველს მოკლებულად და არ გაიზიარა.

დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით

2.9. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც, ხოლო ამავე კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველებიდან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას, ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად კი, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

ამავე კოდექსის 623-ე მუხლის მიხედვით, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, უძრავი ნივთი შეიძლება ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით (იპოთეკა).

ამავე კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, ხოლო ამავე კოდექსის 418-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის 2010 წლის 22 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას, ისევე როგორც ამავე ხელშეკრულებით მხარეთა მიერ განსაზღვრული პირგასამტეხლო, რომელიც ხელშეკრულების მიხედვით განისაზღვრა 0,32% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის შეთანხმებული პირგასამტეხლო იყო შეუსაბამოდ მაღალი და იგი უნდა შემცირებულიყო გონივრულ ფარგლებში, კერძოდ, სასამართლომ განმარტა, რომ



პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მოვალისა და კრედიტორის ურთიერთდამოკიდებულებას, ასევე მოვალის მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულებასა და უკვე შესრულებული ვალდებულების ფარგლებს, რის საფუძველზეც მიიჩნია, რომ პირგასამტეხლოს შემცირება და განსაზღვრა 0,2% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, წარმოადგენდა სრულიად გონივრულ ოდენობას მოცემულ სამოქალაქო საქმეზე კონკრეტული ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით.

2.8. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით.

სასამართლომ განმარტებით, რომ ყველა ხელშეკრულება გარიგებაა, მაგრამ ყველა გარიგება არ არის ხელშეკრულება. ორმხრივი გარიგება არის ხელშეკრულება, რომლითაც მხარეები გამოხატავენ რა თავისუფალ ნებას, თავად განსაზღვრავენ უფლებებსა და კისრულობენ ვალდებულებებს. ამდენად, ხელშეკრულების გაფორმება თუ არ გაფორმება წარმოადგენს პირის უფლებას და დამოკიდებულია ამ პირის ნებაზე. ხელშეკრულების არსებობისას კი მხარეები თავიანთი ხელმოწერით აფიქსირებენ თანხმობას აღნიშნული ხელშეკრულების ყველა პუნქტთან მიმართებაში და თანახმანი არიან სწორედ იმ სახით მოხდეს ხელშეკრულების გაფორმება მათ შორის, რაზეც შეთანხმდნენ.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა ნების ავტონომიიდან გამომდინარე, მხარეებმა თავად განსაზღვრეს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამდენად, პირგასამტეხლოს დასაწყისი განისაზღვრა ვადაგადაცილებული დღიდან, ხოლო პირდაპირ, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან არ იქნა განსაზღვრული პირგასამტეხლოს დარიცხვის დასასრული, თუმცა თავად მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიდან ნათელი ხდება, რომ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეეძლო პირგასამტეხლოს დარიცხვის შეწყვეტა, ასევე მოეთხოვა ვალდებულების სრულად შესრულებამდე პირგასამტეხლოს დარიცხვა. კრედიტორს - რ. წ.-ს ასეთივე წარმატებით შეეძლო პირგასამტეხლოს მოთხოვნა სარჩელის აღძვრამდე, სააღსრულებო ფურცლის ამოწერამდე, გადაწყვეტილების აღსრულებამდე და ა.შ. რაც მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული არ არის და ასეთი დათქმის ხელშეკრულებაში სპეციალურად მითითება საფუძველს მოკლებულია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა საფუძველი ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის სრულად ბათილად ცნობისა, რის გამოც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მხოლოდ პირგასამტეხლოს შემცირების ნაწილში.

3. სააპელაციო საჩივრის საფუძველები



ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები

3.1. სასამართლომ დაუსაბუთებლად არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე. კერძოდ, ვინაიდან ხელშეკრულებაში მითითებული არ იყო კონკრეტული ვადა, ნოტარიუსი არ იყო უფლებამოსილი თავად დაეწესებინა იგი და დაეკისრებინა პირგასამტეხლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე ხელმეორედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით. განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ.

ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები

4.1. 2010 წლის 22 სექტემბერს **რ. წ.-სა** და **გ. ტ.-ს** შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, გამსესხებელმა - **რ. წ.-მ**, აპელანტს სამი თვის ვადით 3000 აშშ დოლარი გადასცა.

ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ პირგასამტეხლოს ოდენობაზე, რომელიც ყოველ ვადაგადაცვილებულ დღეზე, თანხის 0.3%-ის ოდენობით განისაზღვრა.

აპელანტის განმარტებით, ვინაიდან, მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული პირგასამტეხლოს დარიცხვის კონკრეტული ვადა, ნოტარიუსი არ იყო უფლებამოსილი, პირგასამტეხლოს დარიცხვა გადაწყვეტილების აღსრულებამდე დაეწესებინა. სააპელაციო პალატა აპელანტის აღნიშნულ განმარტებას ვერ გაიზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც, ხოლო ამავე კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა



იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა მიერ სადავოდ არ არის გამხდარი ფაქტობრივი გარემოება, რომ მათ შორის არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას, ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად კი, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

მხარეები ასევე სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ მოვალე გ. ტ.-ს მიერ ვალდებულება არ შესრულებულა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-418-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, პირგასამტეხლო წარმოადგენს სახელშეკრულებო მოთხოვნის შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება - ამ ვალდებულების შესრულებამდე.

განსახილველ შემთხვევაში, მხარეები წერილობით შეთანხმდნენ პირგასამტეხლოს თაობაზე, კერძოდ, ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, პირგასამტეხლო განისაზღვრა თანხის 0.3%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. აღნიშნული ოდენობა, შემდგომში, სასამართლოს მიერ შემცირდა და პირგასამტეხლოს საბოლოო ოდენობად, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, 0.2% დაწესდა.

ამდენად, ვინაიდან მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში არ დაფიქსირებულა პირგასამტეხლოს დარიცხვის შეწყვეტის კონკრეტული ვადა, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ იგი უნდა გაგრძელდეს ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულებამდე. სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის მიხედვითაც, მოვალე ვალდებულების ვადის გადაცილებისათვის ან ვალდებულების სხვა სახის დარღვევისათვის იხდის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ ფულად თანხას. ამდენად, პირგასამტეხლოს გამოყენებისათვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით პირგასამტეხლო შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ფულადი თანხის სახით. ამასთან, იდენტიფიცირებადი უნდა იყოს ფულადი თანხის ოდენობა. პირგასამტეხლოს სახით გარკვეული ოდენობის ფულად თანხაზე უნდა არსებობდეს მხარეთა შეთანხმება. შეთანხმება მოითხოვს წერილობით ფორმას. პირგასამტეხლოს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობაა ვალდებულების შეუსრულებლობა ან ვალდებულების დარღვევა. პირგასამტეხლოს მიზანია ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების დარღვევის თავიდან აცილება, ხოლო ვალდებულების დარღვევის პირობებში ე.წ „პრეზუმირებული მინიმალური ზიანის“ ანაზღაურების უზრუნველყოფა, რაც, რაღა თქმა უნდა, არ წარმოადგენს ფაქტობრივი ზიანის ექვივალენტ ფულად თანხას და არც ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას ემსახურება. ამდენად, პირგასამტეხლოს არსის გათვალისწინებით, პირგასამტეხლოს დარიცხვა გრძელდება იქამდე, სანამ ვალდებულება სრულად არ შესრულდება. პირგასამტეხლოს დარიცხვის შეწყვეტას



ვალდებულების შესრულება განაპირობებს, შესაბამისად, ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში გაკეთებული დათქმა მასზედ, რომ „პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდეს აღსრულებამდე“ მომდინარეობს პირგასამტეხლოს არსიდან და შეესაბამება კანონს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მითითებულ კონტექსტში „აღსრულება“ გულისხმობს ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულებასაც, რაც იმას ნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს დარიცხვა წყდება ვალდებულების შესრულებით, იქნება ეს ნებაყოფლობითი შესრულება, თუ იძულების წესით აღსრულება. პირგასამტეხლოს დარიცხვის შემოფარგვლა გარკვეული დროით შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. ამგვარი შეთანხმების არსებობა კი, მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი საქმის მასალებით არ დასტურდება.

ამდენად, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს, შესაბამისად, პალატა ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და ასკვნის, რომ იგი უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

6. საპროცესო ხარჯები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, აპელანტის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ

და ა დ გ ი ნ ა

1. გ. ტ.-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილება;
3. აპელანტის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში;
4. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მისი სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით დასაბუთებული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 21 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის წარდგენის გზით;
5. განჩინების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება განჩინების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია განჩინების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია, განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი.



წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება განჩინების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

თავმჯდომარე ქეთევან მესხიშვილი

მოსამართლეები გერონტი კახეთელიძე

ნატალია ნაზლაიძე